



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია
საქართველოში

2017
ივნისი



03.07.2017
www.geostat.ge

ინფლაცია საქართველოში, 2017 წლის ივნისი


2017 წლის ივნისში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით -0,4 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7,1 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში, წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	-1.5
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	2.5
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-0.3
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	-0.4
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.5
ჯანმრთელობის დაცვა	0.1
ტრანსპორტი	-0.2
კავშირგაბმულობა	-0.2
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.2
განათლება	0.0
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.7
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	-0.1

ჯგუფების წვლილი 2017 წლის ივნისის ინფლაციაში (სულ -0,4%)



ინფლაციის დონე, სულ -0.4


პროცენტული პუნქტი

მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 1,5 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,45 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბალჩეული (-9,0 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (-2,1 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (-1,1 პროცენტი) და ხილი და ყურძენი (-0,9 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,5 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,17 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე (1,3 პროცენტი), ისე თამბაქოს ნაწარმზე (3,6 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2017 წლის ივნისის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:


სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 9,5 პროცენტით, რაც 2,87 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (33,7 პროცენტი), ხილი და ყურძენი (15,7 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (11,0 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (10,4 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (5,3 პროცენტი);

ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 15,3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1,92 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციაზე (21,0 პროცენტი), სატრანსპორტო საშუალებების შექმნაზე (12,9 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (4,6 პროცენტი);


ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 18,2 პროცენტით, რაც 1,18 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (36,8 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (3,0 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 7,4 პროცენტით, რაც 0,66 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (21,3 პროცენტი) და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (5,4 პროცენტი).

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
 ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
 ფაქსი: (+995 32) 236 72 13
 ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge